



მოსეს პირველი წიგნი

დაბადება

თავი 1

დასაწყისი

1 დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა.

ფს.88,12.13;135,5;145,6. ოთან.1,3. საქ.14,15. ებრ.11,3. გამოცხ.14,7.

2 და დედამიწა იყო უსახო და ქაოტური, და იყო წყვდიაღი უფსკრულის პირზე; და სული ღვთისა ქროდა წყლის პირზე.

3 და თქვა ღმერთმა: „დე იყოს ნათელი!“ – და იქმნა ნათელი. ფს.32,9. 2კოჩ.4,6.

4 და იხილა ღმერთმა ნათელი და მოეწონა იგი, და გაჰყო ნათელი წყვდიაღისგან.

5 და უწოდა ღმერთმა ნათელს „დღე“, ხოლო წყვდიაღს – „ღამე“. და გავიდა საღამო, და დადგა დილა – დასრულდა ერთი ღღე.

6 და თქვა ღმერთმა: „დე იყოს ცის თალი წყალთა შორის – მათ გამყოფად“. ფს.32,6;135,5;148,4. ოქ.10,12;51,15.

7 და შექმნა ღმერთმა ცის თალი, და გაჰყო მით წყალი, რომელიცაა ქვევით – წყლისაგან, რომელიცაა ზევით. და იქმნა ასე. ფს.18,2.

8 და უწოდა ღმერთმა ცის თალს – „ცა“. და გავიდა საღამო, და დადგა დილა – დასრულდა მეორე ღღე.

9 და თქვა ღმერთმა: „შეგროვდეს მთელი ცისქვეშეთის წყალი ერთად, და გამოჩნდება ხმელეთი“. და იქმნა ასე.

ფს.32,7;135,6. 23ეტ.3,5.

10 და უწოდა ღმერთმა ხმელეთს – „მიწა“, და შეგროვილ წყალს – „ზღვა“. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო ეს.

11 ხოლო შემდეგ ოქვა ღმერთმა: „დე აღმოაცენოს მიწამ მცენარეული თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი – მიწაზე თავისი ჯიშისამებრ თესლოვანი ნაყოფის მომტანი“. და იქმნა ასე.

12 და აღმოაცენა მიწამ მცენარეული თესლის მთესველი, და ხე ნაყოფიერი – მიწაზე თავისი ჯიშისამებრ თესლოვანი ნაყოფის მომტანი. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო ეს.

13 და გავიდა სალამო, და დადგა დილა – დასრულდა მესამე დღე.

14 და თქვა ღმერთმა: „დე იყვნენ მნათობი ციურ სივრცეში დღის ღამისაგან გასაყოფად, და იყვნენ ისინი ნიშნებად, რომ აღნიშნონ წელიწადის დრონი, და დღენი და წელნი.

ფს.73,16. ფს.135,7-9.

15 და იყვნენ ციურ სივრცეში მანათობლად, რათა მისცენ სინათლე დედამიწას“. და იქმნა ასე.

16 და შექმნა ღმერთმა ორი დიდი მნათობი: უფრო მოზრდილი მნათობი – დღის განმგებლად, და უფრო მცირე მნათობი – ღამის განმგებლად, და აგრეთვე – ვარსკვლავები.

2შპ.4,19. იერ.31,35.

17 და მოათავსა ისინი ციურ სივრცეში დედამიწის გასანათებლად,

18 რათა განეგოთ დღე და ღამე და განეყოთ ნათელი და ბნელი. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო ეს.

19 და გავიდა სალამო, და დადგა დილა – დასრულდა მეოთხე დღე.

20 და თქვა ღმერთმა: „დე იყოს ზღვა სავსე ცოცხალი არსებით, და ფრინველებმა ინავარდონ კის სივრცეში“.

21 და შექმნა ღმერთმა ვეშაპნი დიდნი, და სხვადასხვა ქვეწარმავალნი, მათი ჯიშისამებრ, და ყოველი ფრთოსანი ფრინველი მათი ჯიშისამებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო ეს.

ობ.40,20. ფს.103,25.

22 და აკურთხა ისინი ღმერთმა ასე: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, და გააგსეთ წყალნი ზღვათა, და ფრინველმა იმრავლოს დედამიწაზე“. და იქმნა ასე.

დაბ.8,17.

23 და გავიდა სალამო, და დადგა დილა – დასრულდა მეხუთე დღე.

24 და თქვა ღმერთმა: „წარმოშეას დედამიწამ ცოცხალი არსებანი მათი ჯიშისამებრ – საქონელი, ქვეწარმავალნი და გარეული ცხოველები.“ და იქმნა ასე.

ობ.12,7.

25 და შექმნა ღმერთმა ცხოველნი დედამიწისა მათი ჯიშისამებრ, და საქონელი – მისი ჯიშისამებრ, და ყოველი ქვეწარმავალი მიწისა – მისი ჯიშისამებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო ეს.

26 და თქვა ომერთმა: „შევქმნათ აღამიანი ჩვენი სახიერებით და ჩვენს მსგავსად; და ბატონობდეს თევზებზე – ზღვაში და ფრინველზე – ზეცაში, და საქონელზე, და მთელ დედამიწაზე, და ყოველ ქვეწარმაგალზე, რომელიც დაძგრება მიწაში“. დაბ.5.1.

27 და შექმნა ომერთმა აღამიანი თავისი სახიერებით – ომერ-თის სახიერებით შექმნა იგი; და შექმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად. დაბ.5.12. მარ.19.4. მარ.10.6. 1კორ.11.7. კოლ.3.10.

28 და აკურთხა ისინი ომერთმა და უთხრა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, და აღავსეთ ქვეყანა და დაიპყარით იგი; და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე, და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს“.

დაბ.8.17;9.1.7. საქ.17.26.

29 და თქვა ომერთმა: „ნახეთ, მოგეცით თქვენ ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რომელიცაა დედამიწის პირზე, და ყოველი ხე, რომელზეცაა თესლის მთესველი ნაყოფი – საჭმელად; დაბ.9.3.

30 და ყოველ ცხოველს დედამიწისას, და ყოველ ფრინველს ზეცასას და ყოველ ქვეწარმაგალს დედამიწაზე, რომელშიცაა ცოცხალი სული, მივეცი მე მცენარეები საკვებად“. და იქმნა ასე.

31 და იხილა ომერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და ფრიად კარგი იყო ეს. და გავიდა სალამო, და დადგა დილა – დამთავრდა მეექვსე დღე.

ფს.110.3.

თ ა ვ ი 2

ადამი და ევა

1 და დასრულდა სამოთხე და დედამიწა, და მთელი მათი ციური ლაშქარი.

2 და მეშვიდე დღეს დასრულა ომერთმა თავისი საქმე. და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი თავისი საქმისაგან, რასაც აკეთებდა.

3 და აკურთხა ომერთმა მეშვიდე დღე, და წმიდაპიონ იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ყოველი თავისი საქმისაგან, რასაც ომერთი ჰქონიდა.

4 ეს არის დაბადება სამოთხისა და დედამიწისა, უფალი ომერთის მიერ სამოთხისა და დედამიწის შექმნის დღეს;

5 და არცერთი ბუჩქი მინდვრისა ჯერ არ იყო მიწაზე და არც ბალახი მინდვრისა ჯერ არ აღმოცენებულიყო: რამეთუ უფალ ომერთს ჯერ არ გაეწვიმებინა დედამიწაზე, და არ იყო მიწის დამმუშავებელი კაც-ხორციელი.

6 და ორთქლი აღიოდა დედამიწიდან და რწყავდა მიწის მთელ ზედაპირს.

7 და ჩამოაყალიბა უფალმა ომერთმა კაც-ხორციელი მიწის

მტკრისაგან, და შთაბერა მის ნესტონებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქმნა კაც-ხორციელი ცოცხალ არსებად.

8 და დარგო უფალმა ღმერთმა ბალი ედემში, აღმოსავ-ლეთით, და დასვა იქ კაც-ხორციელი, რომელიც მან შექმნა.

9 და აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ხეები – წარ-მტაცნი საცემრლად და სასიამოვნო – საჭმელად. და შუაგულ ბალში იყო ხე სიცოცხლისა, და აგრეთვე – ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა.

10 და მდინარე გამოედინებოდა ბალის მოსარწყავად, და შემდეგ ის იყოფილა თოხ ტოტად:

11 ერთი ტოტის სახელი იყო ფიშონი; ის გარს უვლიდა ხავი-ლას ქვეყანას, საღაც ოქრო იყო.

12 და იმ ქვეყნის ოქრო კარგი იყო. და იქ იყო ბდალახი და ზურმუხტის ქვა.

13 და მეორე მდინარის სახელი იყო გიხონი; იგი გარს უვლიდა ეთოპიის მთელ ქვეყანას.

14 და მესამე მდინარე იყო – ტიგროსი; იგი მიედინებოდა ასურეთის აღმოსავლეთით. და მეოთხე მდინარე – ევფრატი. და.10,4.

15 და აიყვანა უფალმა ღმერთმა კაც-ხორციელი და მოათავსა იგი ედემის ბალში, რათა დაემუშავებინა და დაეცვა იგი.

16 და უთხრა უფალმა ღმერთმა კაც-ხორციელს: „ბალის ყოველი ხისგან შეგიძლია ჭამო;

17 მაგრამ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან არ ჭამო, რამეთუ რა დღესაც შეჭამ ამ ხის ნაყოფს – მოკვდები.“

რომ.5,12;6,23. 1კორ.15,21.

18 და თქვა უფალმა ღმერთმა: „არაა კარგი მარტოობა კაც-ხორციელისა! შევუქმნი მას შესაფერის შემწეს.“

ეპლ.4,8-9. იგ.37,10-31.

19 და გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ყველა ცხოველი მინდვრისა და ყველი ფრინველი ცისა, და მიიყვანა აღამთან, რათა ეხილა, თუ რას უწოდებდა მათ; და რასაც უწოდებდა აღამი ყოველ ცოცხალ არსებას, იგი იქნებოდა სახელი მისი.

20 და უწოდა აღამმა სახელები ყველა პირუტყვს, ციურ ფრინველთ და მინდვრის ყველა ცხოველს; მაგრამ არც ერთი არ იყო მისი შესაფერისი შემწე.

21 და მოჰვევარა უფალმა ღმერთმა ღრმა ძილი იდამს; და რომ დაეძინა მას, ამოულო ერთი ნეკნთაგანი და კვლავ დაფარა ხორ-ცით ის ადგილი.

22 და აქცია უფალმა ღმერთმა კაცისაგან ამოღებული ნეკნი ქალად, და მიიყვანა იგი კაცთან.

1კორ.11,7-9. 1ტიბ.2,13.

23 და თქვა აღამმა:

„ეს ძვალი – ჩემ ძვალთაგანია,

ეს ხორცი – ჩემს ხორცითაგანია;

და ეწოდოს ამას ქალი,

რამეთუ კაცისაგანაა გამოყვანილი.

1კორ.11,8.

24 და ამიტომ მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიელტვება ცოლს; და იქნებიან ისინი ერთ ხორცად.“
მათ.19.5.6. მარ.10.7.8. 1კორ.6.16. ეფეს.5.31.

25 და იყვნენ ორივენი შიშვლები, კაცი და მისი ცოლი, და რცხვენა არ უგრძნვიათ.

თ ა ვ ი 3

ადამიანის დაცემა

1 და მინდვრის ცხოველებს შორის, რომლებიც კი შექმნა უფალმა ღმერთმა, ყველაზე ცბიერი იყო გველი. და ჰკითხა გველმა ქალს: „ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა, რომ ბალის ყველა ხისგან არ ჭამოთ?“
გამოც.12,9;20,2.

2 და ქალმა უპასუხა: „ბალის ხის ნაყოფებები გვეჭმევა.

დაბ.2,16.

3 ხოლო იმ ხის ნაყოფზე, რომელიც შუა ბალშია, გვითხრა ღმერთმა: ‘არ ჭამოთ მისგან და არც შეეხოთ, რომ არ მოკვდეთ.’

4 და უთხრა გველმა ქალს: „არ მოკვდებით.

იოან.8.44.

5 რამეთუ უწყის ღმერთმა, რომელ დღესაც შეჭამთ მაგ ნაყოფს, აგებილებათ თქვენ თვალნი და იქნებით ღმერთივით – ქეთილისა და ბოროტის შემცნობელნი.“
გამოს.14,12-14.

6 და იხილა ქალმა, რომ ხე კარგი ჩანდა საჭმელად, და საამო იყო თვალისოთვის და საინტერესო იყო ცოდნისათვის; და მოწყვიტა მისგან ნაყოფი და შეჭამა, და მისცა აგრეთვე თავის ქმარს, და მანაც შეჭამა.
იაკობ.1,14. 1ტიბ.2,14.

7 და განეხსნათ თვალნი ორივეს, და დაინახეს, რომ შიშვლები იყენებნ; და დაწეს ლელვის ფოთლებისაგან წინსაფარი და დაიფარეს სიშიშვლე.
დაბ.2,25. გამოც.3,17.

8 მალე მოესმათ ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც მწუხრის უამს მოდიოდა ბალში; და დაემაღნენ ადამი და მისი ცოლი უფალსა ღმერთსა ბალის ხეთა შორის.
ფს.137,6. ამოს.9,2. იერ.23,24.

9 და დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს, და უთხრა მას: „სალა ხარ?“

10 და სთქვა ადამმა: „შენი ხმა მომესმა ბალში და მომერიდა, რამეთუ შიშველი ვარ, და დავიმალე.“

11 და ჰკითხა მან: „ვინ გითხრა შენ, რომ შიშველი ხარ? ნუთუ იმ ხიდან, რომელზეც გამცნე შენ, რომ არ გეჭამა, მოსწყვიტე ნაყოფი?“
დაბ.2,17.

12 და უთხრა ადამმა: „ქალმა, რომელიც შენ მომეც მე, მომცა ხიდან, და შევჭამე.“

13 და უთხრა უფალმა ღმერთმა ქალს: „რა გააკეთე ეს?“ და უთხრა ქალმა: „გველმა მაცდუნა მე და შევჭამე.“
2კორ.11,3.

14 და უთხრა უფალმა ღმერთმა გველს:

„რამეთუ შენ ქმენი ეს,
წყეული ხარ შენ მხეცთა
და მინდვრის კველა ცხოველთა შორის!
შენ მუცელზე იცოცებ
და მტვერს შესჭამ
მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში!

ფს.71,9. გამოს.65,25.

15 და ჩამოვაგდებ მტრობას

შენსა და ქალს შორის,
და შენს შთამომავლობას და მის შთამომავლობას შორის:
ისინი შენ თავს გისრესდნენ,
და შენ მათ ქუსლს უგესლავდე.“

გალ.4,4. 1იოან.3,8. რომ.16,20. ობრ.2,14. გამოცხ.12,17.

16 და მან უთხრა ქალს:

„მე გავამრავლებ
შენს ტანჯვას ფეხმძიმობის უამს,
და ტკივილში შობავ;
და შენი ქმრისაკან იქნება შენი სწრაფვა,
და ის-კი იბატონებს შენზე.“ 1კორ.14,34. ეფეს.5,22.23.

17 და აღამს უთხრა: „რამეთუ ჭამე ნაყოფი ხისა,

რომელზეც გითხარი, რომ არ გეჭამა,
წყეულიმც იყოს დედამიწა შენს გამო,
ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს
მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში. დაბ.4,12;5,29.

18 და ეკალსა და ნარ-ეკალს ომოგიცენებდეს შენ,

და ჭამდე ბალახს მინდვრისას.

19 შენი პირის ოფლით ჭამდე პურს,

ვიდრე დაუბრუნდები მიწას,

რომლიდანაც ხარ აღებული,

რამეთუ მტვერი ხარ

და მტვერს დაუბრუნდები.“ ფს.127,2. ეკდ.12,7. 2თეს.3,10.

20 და უწოდა აღამმა თავის ცოლს სახელად ევა, რამეთუ ის უნდა გამხდარიყო დედა ყოველი ცოცხალისა.

21 და გაუმზადა უფალმა ღმერთმა აღამსა და მის ცოლს ტყა-
ვის სამოსელი და შემოსა ისინი.

22 და თქვა უფალმა ღმერთმა: „ადამი გახდა როგორც ერთი
ჩევნთაგანი სიკეთისა და ბოროტის შეცნობაში. და აწ არ გაი-
წოდოს თავის ხელი და არ მოწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფი,
რომ არ გახდეს უკვდავი.“ დაბ.1,27. 1იოან.5,7.

23 და გააძევა უფალმა ღმერთმა იგი ედემის ბალიდან მიწაზე
სამუშაოდ, რომლიდანაც იყო იგი აღებული.

24 მას შემდეგ რაც გააძევა მან აღამი, ედემის ბალის აღმო-
სავლეთით დაამკვიდრა ქერუბიმები, და ცეცხლოვანი მბრუნავი

მახვილი აღმართა სიცოცხლის ხისაკენ მიმავალი გზის დასა-
ცავად.

Пятикнижие на грузинском языке
Новый перевод
Пробное издание
© Институт перевода Библии
Стокгольм, 1989
Printed in Sweden